მეტაფიქციური ელემენტების ფუნქცია
თანამედროვე ქართულ რომანში

ოთარ თოფურია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი,
პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ოთარ თოფურია

20.04.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მეტაფიქციური ელემენტები და მათი ფუნქციები ოთხ თანამედროვე ქართულ ნარატიულ ტექსტში (2014-2021).

საკვლევად შერჩეული ტექსტებია: ბექა ადამაშვილის *ბესტსელერი,* ზურაბ ქარუმიძის *Untergang: მოგზაურობა ევროპაში,* ალეკო შუღლაძის *წმინდანის მახე* და ოთარ ჯირკვალიშვილის *ბიზანტია.* ტექსტებში მეტაფიქციურობის შესწავლა განხორციელდა რობერტ სქოულზის მიერ შემუშავებული ტიპოლოგიით. ყურადღება გამახვილდა სამ მეტაფიქციურ ტექნიკაზე - მეტანარაცია, მეტალეფსისი და დისნარაცია.

ტექსტების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საკვლევ ობიექტებში მკითხველი შემოყვანილია ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად. სქოულზის ტიპოლოგია კი ამ ფენომენს ვერ ასახავს, რის გამოც საჭიროებს დახვეწას ან შევსებას.

საკვანძო სიტყვები: *მეტაფიქცია, თანამედროვე ქართული ლიტერატურა, რობერტ სქოულზის ტიპოლოგია, მეტანარაცია, მეტალეფსისი, დისნარაცია, მკითხველი.*

Abstract

This work analyzes metafictionality and its function of four contemporary Georgian texts (2014-2021).

The texts selected for the research are: *Bestseller* by Beka Adamashvili, *Untergang: Journey in Europe* by Zurab Karumidze, *Saint's trap* by Aleko Shugladze, *Byzantium* by Otar Jirkvalishvili. Metafictionality in these texts was examined within the typology proposed by Robert Scholes. The focus was also on three metafictional techniques - metanarration, metalepsis, disnarration.

The examination of the texts revealed that reader is one of the main characters of these texts, and that Scholes typology can not illustrate the phenomenon. As a result It is necessary to expand or improve his theory.

Keywords: ***Metafiction, contemporary Georgian literature, Robert Schole's typology, metanarration, metalepsis, disnarration, reader.***